ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1848608

ნომერი: AR1300124

თარიღი : 07.04.2015

გაცემის თარიღი : 30.04.2015

გაცნობის თარიღი : 04.05.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N7 , (ნაკვეთი N38/43) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვალერი გელაშვილი პ/ნ LTU22074556
- რუსთაველის N14

ორგანიზაცია:
- ლიტ ჯეო ინვესტი კოდი: 400033655

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 07/04/2015 წ. #AR1300124 განცხადებით მომართა შპს „ლიტ ჯეო ინვესტის“ დირექტორმა ვალერი გელაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 04.03.2015 წ. #1760139 ბრძანებით შეთანხმებულ დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, შეთანხმებული გეგმების ბინების ნუმერაციის მქონე გეგმებით ჩანაცვლება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 04.03.2015 წ. #1760139 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი – ჩუღურეთი, ქუჩა ც. დადიანის №7, (ნაკვეთი №38/43)/ქ. თბილისი, ქუჩა ც. დადიანის №7, შპს "ლიტ ჯეო ინვესტი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.16.02.038.072), შეთანხმებული გრგ–ს მიხედვით მე–2 სექტორში, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის "ბ" ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებელი უთითებს, რომ შესათანხმებლად წარმოდგენილ გეგმა–ნახაზებში არ იქნა დატანილი ბინების ნუმერაცია და ითხოვს შეთანხმებული გეგმა–ნახაზების წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი გეგმა–ნახაზებით ჩანაცვლებას.

არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა განისაზღვრება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებით, რომლის თანახმადაც II, III, IV კლასის არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა მოიცავს ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის ობიექტის თაობაზე, მათ შორის, განმარტებით ბარათს, შენობა-ნაგებობის ტექნიკურ მაჩვენებლებს, ასევე, შენობის ყველა სართულის გეგმას, შენობა-ნაგებობის ფასადებს და სხვ. აღიშნული დადგენილება არ ითვალისწინებს გეგმა–ნახაზებზე საპროექტო ობიექტების ნუმერაციის დატანის ვალდებულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, საპროექტო ბინების ნუმერაცია სამსახურში შეთანხმებას არ საჭიროებს, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა შეთანხმებული გეგმების ახალი გეგმებით ჩანაცვლებასთან დაკავშირებით. ბინების ნუმერაციის მინიჭების მოთხოვნით შეგიძლიათ მიმართოთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.